

**„ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაში და გამანაწილებელ ქსელში
ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის 2017 წლის 24 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების
შეტანის შესახებ**

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დაადგინა:

„ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაში და გამანაწილებელ ქსელში ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 24 მაისის №8 დადგენილების (სსმ, ვებგვერდი, 01/62017, სარეგისტრაციო კოდი: 300380000.16.009.016209) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 1. ნორმატიული დანაკარგი ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაში
2019 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე პერიოდზე ბუნებრივი გაზის
ტრანსპორტირების სისტემაში ნორმატიული დანაკარგის ოდენობად განისაზღვროს: 37
490 082 კუბ.მ.“**